# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1167

დამატების № 206

კვირა, 20 აპრილი 1914 წ.

## ნინო

2

სახე ცოცხალი, სახე ნათელი
და მორცხვი თვალი ფიქრთა ამშლელი.

ხან გრძნობით მთვრალი
ელვასებრ მალი,
ხან კი ვნებისგან მიბნედილი, მინაზებული!
ხან გამსჭვალავი
ხან ცივი, ცივი როგორც საფლავი.
განგებ ჩამქრალი, კვლავ მონარნარი ვით ნაპერწკალი.
ხან კი გიჟურის რხევით, თამაშით გატაცებული

და ნორჩის გულის დამტყვევებელი,
ტანჯვის და შვების მომნიჭებელი!

ოდეს იცინის, ბაგე ეშლება.
წყობილი კბილი საამოდ ჩნდება.
როს იკუშება, ირგვლივ ბნელდება.
როს ილიმება, ისევ თენდება
და ნორჩი გული, ჭაბუკის გული შეყვარებული

ეშხით ენთება!

თეთრ ყელს ეხვევა შავი დალალი.
მისი საყურე ქრთის და ირხევა.
ორი ნაწნავი აქვს თმა მრავალი
ხან მთრთოლავ წელზე ძირს ჩაშვებული,
ხანაც ნორჩ მკერდზე, ნორჩ ძუძუებზე გადმოგდებული.

ასეთი ვნახე ქართველი ქალი.
მას თუ სხვაც ჰნახავს, ვაჰ მისი ბრალი!
თუმც სიყვარულის არის ხატება,
მაგრამ კერპია, უცხო თავნება
ტანჯვას სხვა ტანჯვა მოემატება
რა გულს ახლოს არ მოეკარება.

3

ოდეს ბაღში სტვენს ბულბული,
ტურფა ვარდი მას იწყნარებს;
შენ კი სდუმხარ, როს ეს გული
შუაღამეს გირეკს კარებს.
რა მსურს იმ დროს, ან რას გვედრებ?
ხმას რად გასმენ შენამკრთალებს?
მითხარ, მითხარ, საყვარელო,
სად მივყევარ მაგ შავს თვალებს?

4

ბაღში შეველ, თან გამომყვა
ყვავილების სურნელება;
როს შენ გნახე, თან გამომყვა
შენის სახის მშვენივრება.
დღეს დავდივარ და თან დამდევს,
გულს უკიდებს ცეცხლის ალებს.
მითხარ, მითხარ, საყვარელო,
სად მივყევარ მაგ შავს თვალებს?



მთის ბროლი.

5

ფიქრით დაღლილს და დაქანცულს
მელანდება სიზმრად ნინო;
რით ჩავიკლა სულის ღელვა?..
მომეც! მომეც თასით ღვინო!
მხიარულობს ჩემ წინ კრება,

შეეტრფიან ირგვლივ ქალებს.
ოცნებიდან არ მშორდება,
მაინც ვხედავ მის შავს თვალებს.

და კვლავ ვზივარ დაღვრემილი
თუმც კი ვცდილობ მოვილხინო;
ჰეი, თარსა ჩამოჰკარით!..
კვლავ მოიტათ, ჰეი, ღვინო!

და ვეძლევი გიჟურ ქეიფს,
სევდა მაინც მავალალებს;
მითხარ, მითხარ, საყვარელო,
სად მივყევარ მაგ შავს თვალებს?

**სანდრო შანშიაშვილი.**

# იოანე ნათლისმცემელი და სალომე

1) ცელქმა სიომ ტბის ლურჯ მკერდზე ელვასავით გაირბინა,
ვერცხლის ტალღა ააგორა... მშვიდად, წყნარად დაიძინა;
ოტარიდმა შუქურ ვარსკვლავს თვალი უყო გაუცინა,
ნორჩი გული აუტოკა, სიყვარული აგრძნობინა.

*
* *

2) ყვავილებით მოიჭედა ლაჟვარდ სივრცის ოკეანე,
თვალწარმტაცად გააშუქა ბროლის მთვარემ მდელო მწვანე;
ღამე არის... ყველას სძინავს... ჰა გამოჩნდა იოანე.
აქ რა უნდა? ნეტავ რისთვის მიატოვა მან სავანე?

*
* *

3) რასა ჰფიქრობს? რა აღონებს? ან გული რამ აუძგერა?
იქნებ მანვე თვისი სწავლა უარჰყო და აღარ სჯერა?
ან დარდობს, რომ მღვდელ-მთავარნი საუკუნოდ გადიმტერა?
ღმერთო ჩემო, სიდან ისმის, სიდან ისმის ეს სიმღერა?

*
* *

4) როგორ სწვდება სულს სიღრმეში?! ვით იტაცებს გიჟურ ვნებას?!
ვით ატყვევებს ადამიანს?! ვით უკარგავს ძალას ნებას?!
ვით გვასწავლის სიყვარულსა?! მისთვის თავის დავიწყებას?!
ხმები ესა რას ემსგავსოს? სინამდვილეს, თუ ოცნებას?

### სიმღერა.

5) ჩემს ნორჩ სხეულს, ვნებით რხეულს,
სწვავს და სდაგავს ტრფობის ალი.
ჩემი ყელი ბროლი არის
და გიშრის ტბა ჩემი თვალი.
საალერსოდ გიცდის ტუჩი,
გიცდის ტუჩი მარწყვი—ლალი.

—

6) სჩქეფსა და სცემს ჩემს თვალებში
გიჟი ტალღა, ტალღა ზღვისა;
კბილებად მაქვს გამოთლილი
მარმალილო სტამბოლისა
ჩემს სიყვარულს შეუძლიან,
გაგრძნობინოს შვება ცისა.
7) მოვრთე ლამაზ ყვავილებით
ჩვენი ღამის სარეცელი
და ზეცამდის აღვავლინე
სურნელთ მფრქვევი საკმეველი.
შენთვის ვფიქრობ... ქრუანტელს მგვრის
ვნება ტკბილი, ვნება მწველი...

—

8) გევედრები, მოდი ჩემთან...
და მივეცნეთ ღელვა,—ვნებას.
ვერაფერი ვერ დაჩრდილავს
ქვეყნად ამ ჩვენს ნეტარებას.
შენ მიყვარხარ... რა დაუდგეს
წინ ჩემს სურვილს, ჩემსა ნებას?

—

9) ჰა მიიღე ხორცი ჩემი,
შეიქენი მითი მთვრალი;
და თუ არა... მაშინ ჰნახავ,
რა რიგია ჩემი ძალი,
აბა, მითხარ, რას არ შესძლებს
ბოროტებით სავსე ქალი?

—

10) ნეტავ ვინ არს, რომ იმღერის? ვის ეძახის ხმა მწუხარი?
ეშმაკეულთ გალობაა? სინამდვილე, თუ სიზმარი?
ჩუ! ფეხის ხმა... ერთი, ორი, ერთი... სუნთქვაც, სუნთქვაც წყნარი,
ქალს ჩაჰგომავს... ნუ თუ მართლა იმ ჩადრის ქვეშ ქალი არი?

*
* *

11) ოჰ! ქალია! მაგრამ ამ დროს აქ მარტო რამ მოიყვანა?
ურიის ქალს სიარულსა არ უკრძალვენ ღამით განა?
ნუ თუ კანონს არ შეუდრკა... მიაფურთხა ზიზღით მანა?
და უდროოდ უგალობა თავის თავსა სულთა თანა.
12) ტბისკენ მიდის... ნათლისმცემელს, შეხეთ, მუხლიც მოუყარა.
აკანკალდა... და შემდეგ მას დარცხვენილმა უთხრა წყნარა.
„ოხ! მიყვარხარ“!!!
იოანემ სიტყვა ეს არ შეიწყნარა.
გაკვირვებით შეეკითხა... „ვინ ხარ? ჩემთან რამ შეგყარა“?
იდგა ქალი... ბროლის ხელით თმა გიშერი გადიყარა...
წმინდა ჰქონდა შემოხედვა, ვით ლაჟვარდი ცის კამარა.
13) უთხრა:—მიცნობ შენ სალომეს, იროდეს ძმის ქალი შვილსა,
ისე ტურფას, ვით ანგელოზს, ნაზსა, როგორც ვარდს გაშლილსა?
ხომ გესმოდა, ხომ უგდებდი ყურს სიმღერას, ჩემ შექმნილსა,
შენს ხელთა ვარ, გევედრები, ნუ შემიცვლი მწარედ ტკბილსა.

*
* *

14) ჩემი სული და სხეული წმინდა არის, ვით მზის სხივი,
ჩემი სწრაფვა გიჟი არის, ვით ამაყი მთის არწივი,
მე ტრფობა მაქვს, ჩემო კარგო, გულში შენით განაღვივი,
და მეც მხოლოდ იმას ვფიქრობ, იმას მოვსთქვამ, იმას ვჩივი.

*
* *

15) ნუ გამკიცხავ, ნუ დამძრახავ, შენი ნახვა მომესურვა,
არ მინდოდა უიმედოდ კვნესა, ოხვრა, ბედის მდურვა;
ვაჰმე! ველარ გავიქარვე გულის მღრნელი ეჭვი, ურვა,
ჰა გიხილე და ამისთვის არ დამიწყო, არა, მდურვა...

*
* *

16) დიდხანს ვმალე... მაგრამ გულში ვერ წავშალე სახე შენი—
**იოანე...** ქალო, ქალო! აღარ კმარა სისულელე ესოდენი?
რასაც ტრფობას შენ ეძახი, იგი არის მხოლოდ სენი.
დედასავით გარყვნილი ხარ... გამეცალე, დამეხსენი.

*
* *

17) რად ვერ ჰხედავ ჩემს ქვეყანას, კარს მოადგა გასაჭირი.
ვაჰ სამშობლო! იქნებ მართლა უფლისგან ხარ განაწირი.
მარად ვფიქრობ მამულისთვის, უნუგეშო სულით მწირი,
მაგრამ, ქალო, შენ ვერ იგრძნობ, თუ მე მისთვის როგორ ვსტირი.

*
* *

მჯეროდა რომ ამ საზარ ჟამს გვიშველიდა ჩვენ მესია,
მე მის მოსვლას ვქადაგებდი, ხალხი ბლომად დამესია;
დღეს ვრწმუნდები, რომ მცირდება ჩემ მოწაფეთ რიცხვი, სია,
ვაი იქნებ უნაყოფოდ დარჩეს ის, რაც მითესია.

*
* *

18) ვფიქრობ, ჩემს ერს, ჩემს მშობელ ერს, როგორ, რითი დავეხმარო,
უცხოელთა წამებისგან რანაირად დავიფარო;
რა ვიღონო? მყუდროება იმას როგორ დაუამყარო?
სად ვიშოვნო მე წამალი, რითაც ყველა ვანეტარო?

*
* *

**სალომე**—გამიგონე, რას დაეძებ შენს სამშობლოს შენს ქვეყანას?
შვილო ველურ უდაბნოსი, საზრდოდ მოგცემ ცის მანანას;
წამო, წამო, წამო ჩემთან, გიგალობებ ვნების ნანას.
ჩემს სიტურფეს გეფიცები, სხვას ვერ ჰპოებ ჩემის თანას.

*
* *

19) **იოანე...** არა, არა მესმის კვნესა მშობლიური, გულსაკლავი,
ვხედავ, ჩემს ერს სულსა ჰხდიან, მტანჯავს მე ეგ სანახავი;
ვერ გავწირავ მშობელ მხარეს, თუნდ გამიქრან მე საფლავი,
სხვას მიუძღვენ ტრფობა შენი, მე არა მსურს შენი თავი.

*
* *

ქალი სიტყვებს ყურს უგდებდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა
მეტის მეტი სიბრაზითა ტანთსამოსელს, ჰგლეჯდა, ხევდა,
დაჭრილივით სულს ითქვამდა, ხან სხეულსა შეარხევდა
ხან მწარედ კი უიმედოდ კვნესოდა და ხელს იმსხვრევდა...

*
* *

20) ბოლოს უთხრა... არ იბრალებ ჩემს სიყვარულს, წმინდას წრფელსა!
კარგი... კარგი... ტრფობის ნაცვლად გულში გავზრდი ბოროტ გველსა;
შენ ხომ იცი ჩემი ძალი, საქმეს ვიზამ საზარელსა.
მოვინდომებ და მაშინვე გააქრობენ შენს სახელსა.

*
* *

21) გაათავა. გაჰქრა მყისვე, მოჩვენებაც ასე ჰქრება,
და ღაღადჰყო იოანემ: „ჩემი სისხლი დაიღვრება,
მე სიკვდილი ვერ მაშინებს, მხოლოდ ერი მენანება,
ოხ! სამშობლო მესიასა ნეტავ როდის ეღირსება“?!

**მთის ნიავი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველ მომღერალთა დასი სოხუმში. შუაში ზის მგ ოსანი ი. ევდოშვილი.

# მეყვარებული

(დასასრულ *)

მაშინ ადამიანის სახე მქონდა და დღეს მე ფრინველი ვარ.
იდმა ვედრებამ ღვთისამ მხოლოდ ამით დამაჯილდოვა: შევიძელ
ენს კარებზე მოსვლა; ფეხით მოსვლა რომ არ შემეძლო, დღეს ფრთე-
ის წყალობით მოვფრინდი აქ; ამისრულდა გულითადი ნატვრა.
მ ლოდს, რაზედაც ერთ დროს შენი ღვთიური ფეხი იდგა, დღეს იმ
ოდს მე ვაკრივარ, როგორც მატლი და იცოდე არც წავალ აქე-
ან მინამ პირში სული მადგა, არ მოგასვენებ; დაე, ნუ დამენახვე-
ი, ნუ შეისმენ ჩემ თხოვნას. აქ, შენ კარებზე დავდნები, თუ შენს
მას არ გამაგონებ, ჩემს ხმას ხომ გაგაგონებ; დაგალონებ, დაგაძმა-
ებ; ვიყო გაუხარებელი არაფერი უშავს... მაგრამ რად? რისთვის
ოცა საიმისოდ საქმე არა ჰირს? როცა შენთვის არაფრად არა
ირს,—სრულიად ადვილია, როგორც მზემ ციდან, ისე შენ კლდი-
ან, გამოაშუქო. შემდეგ წადი და ნულარ დამენახვები, რამდენიც უნ-
ა გეხვეწო, გემუდარო?!..

ან კი რატომ ან შემდეგ არ უნდა დამენახვო, ვითომ რა გე-
არჯება, რა გაკლდება?! არაფერი, სრულებითაც არაფერი!..

ნეტავ ვიცოდე ამდენს ჩემს საცოდაობას რომა ჰხედავ არა სტი-
ი? როგორ დავიჯერო ეგრე ტურფას, შვენიერს, გულიც ლამაზი შვენიერი არა ჰქონდეს? ლამაზს გულს კი მარტოდ მარტო სიბრალული უხდება და ერთად ერთი ის ამშვენებს. შენს თვალებს მოუხდება მარგალიტივით ცრემლი ჩემის, შენის მოტრფიალის, შებრალებით გამოწვეული... რა ბედნიერი ვიქნებოდი ამას რომ მაინც დავინახავდი. და მაგ ლამაზს თვალებს როგორ გაალამაზებდა ცრემლი სიბრალულისა!.. მაგრამ რას ვამბობ საცოდავი? სად არის შენთან სიბრალული ან სიყვარული?!.. არც ერთია შენთან არც მეორე. ნეტავ ვიცოდე მანდვე ხარ თუ წახვედი მანდედან, მე კი აქ ტყუილად ყბებს ვილალავ. იწამე ღმერთი, ეს მაინც შემატყობინე, შემიბრალე, სწორედ გამაგებინე!“—აქა ვარ, აქ, მაგრამ არა მაქვს ნება გამოსვლისა, არც ამაზე მეტის თქმისა, რასაც გეუბნები.—მოესმა მონადირეს კლდის სიღრმიდან ხმა ქალისა. დიდხანს გაშეშებული იდგა იმავე ადგილას, ვერ გამძლარიყო ამ ხმის სიტკბოების სმენით, ეგონა ქალი კიდევ რასმე იტყოდა, მაგრამ აღარაფერს ამბობდა.

„ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნეტარებავ, მე მოვალ შენთან მე“, ლუღლუღებდა არწივი—მონადირე: „ოღონდ მანდ მომიცადე, მანდედამ ნულარსად წახვალ გენაცვალე, თავს შემოგევლე!“ სთქვა რა ეს არწივმა, დაუწყო ნისკარტით და კლანჭებით ღრღნა კლდესა. როგორ თავ-გამოდებით ებრძოდა კლდის ლოდებს, ამტვრევდა სჩეხდა, მაგრამ ამაოდ, საუბედუროდ მისგან გამოკვეთილი ხვრელი მეორე დღეს მთელი იყო ისევ. არწივი მაინც გულს არ იტეხდა იბრძოდა საშინლად, არა ჰზოგავდა სიცოცხლეს, ჯანს: იქ, შორი-ახლო ეგულებოდა თავისი სატრფო, ხან და ხან გამოეხმაურებოდა, თუმცა ქალი ხმას აღარა სცემდა, პასუხს აღარ აძლევდა. ნისკარტიდან, კლანჭებიდან არწივს სისხლი სდიოდა; მისი სისხლით წითლად შეიღება კლდის გულ-მკერდი.



კახეთის რკინის გზა. ხიდი ალბულალის ხევზე.

რამდენიმე წელი გავიდა, არწივი ამ საცოდაობაში იყო: ნისკარტი გასცვეთოდა, კლანჭები დასჩლუნგებოდა. მთელს ტანზე ბუმბულიც-კი გაჰხრეშოდა. არწივს არწივობა აღარ ეტყობოდა, კაცს ტირილს მოჰგვრიდა. ხოლო არწივის სისხლი კლდეს ზოლ-ზოლებად ეტყობოდა ხარადან - თხემამდე; სისხლი წითლად ბჭყვრიალებდა და ვერც წვიმა, ვერც ყინვა და ვერც თოვლი ვერ აშორებდა, ვერა ჰრეცხდა.

ახლო-მახლო მცხოვრები და იმ კლდის მიდამოებში მფრინავი

---

იხ.) სურათებიანი დამატება № 205.

არწივები ძალიან სწყრებოდენ, უჯავრობდენ თავიანთ თანამოძმეს. უგმობდენ ახირებას, უქმ, უნაყოფო შრომას...

—რამ გაგაგიჟა, კაცო, რაზე იკლავ თავს, ხომ ჰხედავ არაფერი გამოვიდა შენი შრომიდან! როდემდის ეგრე უნდა იტანჯო? მინამ პირში სული მიდგაო რო იძახი, ეგ ხომ სისულელეა, სიგიჟე. ვინ იცის რამდენი წელია რაც შენ მაგ ყოფაში ხარ და ვერაფერს გაჰხდი. როგორ არ მოგწყინდა ქვა-ლოდებზე ნისკარტის ცემა და კლანჭებით ფხაკუნი?! ჩვენ არწივებს გული გვიკვდება მაგ ყოფაში რომ გხედავთ: ჩვენი ძმა ხარ და იმიტომ ჩვენს მსგავს, ჩვენთანა ზიარს ნისკარტს და კლანჭებს ჰლალავ და აცდენ ტყუილად; ის ჩვენი სისხლია, რითაც შენ ამ სალს კლდესა ჰლებავ. როგორ შაგვიძლიან გულ-გრილად გიცქიროთ! თუ შენი თავი არ გებრალება ჩვენ მაინც შეგვიბრალე. ვინც არა მგონია, ყარა-ყურა ფრინველებიც კი ჩვენ დაგვცინიან ჩუმა-ჩუმად; ერთი ნახეთ ფრინველთა მეფე—არწივი რა სისულელესა სჩადისო!

ფრინველებში დიდი აურ-ზაური და მითქმა-მოთქმაა!—ეუბნებოდენ მონადირე—არწივს ნამდვილი არწივები. მაგრამ უკანასკნელს ქარის სტვენად ესმოდა არწივების საუბარი.

კაკბები და როჭოებიც კი გადაავლებდენ თვალს არწივის ამაო მუშაობას. კლდის თავიდან უყელუქნებდენ (მზერა კისრის დაჭიმვით), ბრალობდენ თავიანთ მოსისხლე მტერსა და თავის ქნევით წაელაპარაკებოდენ· „ნეტავ, ქალო, ეგ ბეჩავი რაზე იკლავს თავსა, რას ებრძვის?!“ იტყოდენ რა ამას მაშინვე მოჰშორდებოდენ იქაურობას.

არწივი თავისას არ იშლიდა, მანამ ნისკარტი და ბრჯღალი უჭრიდა, ებრძოდა კლდეს და თან თავის სატრფოს ეძახოდა, მაგრამ ქალი ხმას აღარა სცემდა. სამარებრივ სდუმდა კლდე. გაელია ნისკარტი არწივს და სისხლი თქრიალით წამოუვიდა. ბრჯღალები შემოაცვდა, სისხლში მოსვრილი ჰქონდა. არწივ' გული წაუვიდა, თავბრუ დაესხა. მოსწყდა და კლდის ძირს დაეცა...

რამდენიმე ხანი უგონოდ ეგდო კლდის ლოდებზე—გულ-აღმა. მკვდარს დაჰმსგავსებიყო: გრილი ნიავი ბუმბულს უჩეჩდა, უნიავებდა. ფრინველებს არწივი მკვდარი ეგონათ, მაგრამ ახლო მისვლას ვერავინა ჰბედავდა, გარდა არწივებისა. მზე ის იყო ჩადიოდა, რომ ორი არწივი ჩაეშვა ჯურღმულში და გულწასულ თანამოძმეს მიუსხდენ თავით და ფეხთით.

ორივეს თვალზე ცრემლი მოსდგომოდათ და გულ-მტკივნეულად ჩაელაპარაკებოდენ გაძვალ-ტყავებულ მიჯნურს. როგორც იყო მოასულიერეს.

— აბა, შე საცოდავო, რით-ღა უნდა იბრძოლო, სჩიჩქნო კლდე? ნისკარტი შენ აღარა გაქვ და კლანჭები! არც ეხლა დაემორჩილები ბედსა?!—ეუბნებოდენ არწივები.

„ეხლა დავემორჩილები, რადგან ძალა გამომელია, ჩემს თავს ველარ გავამტყუვნებ, მაგრამ რა ვქნა გული თავისას არ იშლისო. მიუგო მან: „უნდა სხვა გზას დავადგე, საშუალება უნდა მოვძებნო“.

— მოძებნე, ვინ დაგძრახავს, ოღონდ ისეთი იყოს, იმედს იძლეოდეს გაჰხდები რასმე ადრე თუ გვიან. ვინ დაგიშლის?! განა ჩვენ შენი სისხლი არ გვიდგა—სისხლი გაუტეხლობის, შეუდრკელობა—მხნეობისა, მაგრამ სისულელეს ვერ ჩავიდენთ. ვაჟკაცობა თუ სისულელესთან ერი დაკავშირებული ჩალად არა ღირს... სთქვეს კვალად არწივებმა.

„ჰმ, ჰმ!“ წარმოსთქვა მონადირე—არწივმა: „თქვენ სისულელედ გეჩვენებათ, ძმებო, ის მე ჩავიდინე? ოჰ, ოჰ, ნუ დამძრახავთ. სხვაფრივ ვერ მოვიქცეოდი არ შეიძლებოდა, ან უნდა მოვმკვდარიყავ, ან ეს მექნა, რისაც მოწამე ხართ... მე კვლავ განვაგრძობ სისულელის ჩადენას, არ შაიძლება უნდა სულელად მოვკვდე, ეს სახელი მე უკვე მოვიხვეჭე ფრინველთა შორის, ამას ვერავინ წამართმევს... ჩემის სიკვდილის შემდეგაც, ვინ იცის, იქნება ესევე [მერქვას? მე მივდივარ, მშვიდობით!“ წარმოსთქვა მან და თავის სუსტის მხრებით ალახლახდა მაღლა.

არწივებმა გზა დაულოცეს და განშორდენ თავის მრავალ-ტანჯულ თანამოძმეს.

V

ეხლა მონადირე იდგა იმ საკვირველი მოხუცის წინაშე რომელმაც იგი არწივად აქცია,—თავდახრით, გასაცოდავებული, თვალთაგან ცრემლ-ჩამომდინარი, საბრალო ბუს დამსგავსებოდა. ტიროდა საკვირველი მოხუცის წინაშე და ძნელად გასაგებს სიტყვებსა ლუღლუღებდა. იმედი ჰქონდა, მოხუცი ერთს თხოვნას კიდევ აუსრულებდა; ამ იმედით გამხნევებული არწივი ახალის სათხოვარით მიჰმართავდა იმ თავის კეთილის მყოფელს.

— რაღა გიყო, რა გიწამლო, შე საცოდავო?! ეკითხებოდა არწივს მოხუცი:—ხომ აგისრულე თხოვნა,, ეხლა სხვას რაღას სთხოულობ?—

— დიდად გმადლობ, მეუფეო, ჩემთვის არა გშურს მოწყალება შემიწყალე უკანასკნელად. ამიერიდან აღარ შეგაწუხებ. მე უკვე გადავწყვიტე ადამიანის სახე დავკარგო საუკუნოდ; მიზნისთვის რომ მიმეღწია, ქალის გული რომ მომენადირებინა მაშინ შემეძლო მეთხოვნა ისევ ადამიანად მაქციეო. დღეს კი, როცა იმედი გადავწყვიტე, ჩემთვის ადამიანად ყოფნა მხოლოდ სასჯელია. ამიტომ მინდა, მეუფეო, მაქციო მცენარედ,—ხედ, სახელდობრ, ცირცლად. დავენერგო იმ კლდის თავზე; ჩემ ფესვებს ჰქონდეს ისეთი თვისება, ვერაფერი ვერ იჭერდეს, ვერ აბრკოლებდეს მათ ზრდას, ხარებას. გაიზარდოს ჩემი ფესვები, რომ ჩასწვდეს იმ ჩემის სატრფოს სადგურს, შემოერტყას გარშემო, რაც შეიძლება ის ამბავი ადრე მოხდეს. იმ ცირცლის ფესვები მაინც ჰხვდებოდეს ქალის ლამაზს ტანსა, უცქეროდეს იმის ლამაზს თვალებსა. ჰსუნთქავდენ იმის ნასუნთქის ჰაერითა; თუ მუდამ დღე არა, ხანდახან მეცა ვგრძნობდე იმასთან ახლო ყოფნას, როგორც დედა იმ ფესვებისა, თუნდა შვილი. ამას გთხოვ, ამას გემუდარები“. წარმოსთქვა მონადირემ.

— საწყალო, საწყალო! იქმნას ეგრე როგორც შენ გინდა. წადი, გაფრინდი; მიდი, დაჯე იმ ადგილას, სადაც გინდა რომ ხედ იდგეო.—უპასუხა მოხუცმა:—და ინატრე—ღმერთო, მაქციე ცირცლად, ამის მეტს ნურაფერს იტყვი, თხოვნა შენი მყის ასრულდებაო.

—

მონადირის ნატვრა ასრულდა: კლდის თავზე, მის მიერ ამორჩეულ ადგილას შვენიერი ცირცელი ამოვიდა; ზაფხულობით იმოსებოდა წითლის მტევნებით უხვად; ნაყოფით ისე დაიტვირთებოდა ტანი ძლივს იძვნობდა. ზამთრობით, როცა მთაში თუ ბარში არავითარი ხის ნაყოფი არ მოიპოვება, მთელი ბუნება თავის სილატაკესა გლოვობს,—მხოლოდ კლდის თავზე ღაღანებს წითლად ცირცელი. სიმშილისაგან შეწუხებული როჭოებისა და ჩხართვების გუნდი ედება ზედა. შეუდგებათ ენით აუწერელი სიხარული, ჟივილ-ხივილი. ენა ვერ იტყვის როგორ ალაღებს ფრინვლებს ეს ცირცელი, როგორ უყვართ იგი. თვითეულ მარცვლის ჩაყლაპვაზე, ყოველი მათგანი ცირცელს დღეგრძელობას ეუბნება. ღმერთსა სთხოვს იმის [დიდხან სიცოცხლეს. არც თავად ცირცელსა სწყინს ფრინველებისა მის ნაყოფით ქეიფი, იმასაც უხარიან, რომ მადლსა სჩადის და უნდა ამ ამბავმა მის სატრფოს ყურამდინაც მიაღწიოს. გაიგოს იმ ულმობელმა, შეუბრალებელმა ასულმა კლდისამ, თუ როგორ ლმობიერი, როგორ მოწყალე და მობრალულია მისი მოტრფიალე, კლდის ქალისაგან უარყოფილი საწყალი მონადირე.

„მიირთვით, იქეიფეთ, თქვენი ჭირიმეთ, კარგი დროება გატარეთ, მე მოვკვდე თქვენ იცოცხლეთ სიხარულში, ლხინ-გახარებაში!“ მოისმის ხმა ფესვებიდან. ხოლო რას შვრება თვით ფესვები?—ფესვებმა გზა გაიკვლიეს ქალის სადგურისაკე,. კლდე წინააღმდეგობას აღარ უწევს და ისინიც ექსოვებიან ოქროს ძაფივით ლოდების წყებას. აღარ მიუდის იმათ დიდი მანძილი კლდის ასულის სენაკამდე. ქალიც ჰგრძნობს ამას და სდუმს, ისიც გულის ფანცქალით მოელის იმ წუთს, როცა ცირცლის ფესვები შეაჩენენ ცხვირებს აქეთიქიდან და შესძახებენ: „გამარჯვება შენი, ქალო ლამაზო, ასულო კლდისაო“.

**ვაჟა-ფშაველა.**



ტფ. ქალაქის გამგეობაში აუარებელი საქმის გამო მეექვსე წევრი აირჩიეს?!..

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.